



ჩვენს ქვეყანაში
 ხელის მოწერა და დასახლებების განლაგების მი-
 ილება „საქართველოს“ კანტორის მიერ დაგეგმული
 ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დღის 9-3-მდე,
 საღამოს 5-7-მდე.
 ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაუ-
 ბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები
 სულ არ იბეჭდება; იბეჭდება ერთი თვით მხოლოდ დი-
 დი წერილები და მოთხრობანი.
 რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მო-
 სკოვის ქუჩაზე, № 4.
 ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულსათვის:
 Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლო-
 ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე),
 და ელირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევიმდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გა-
 დახდა ანაზღაურება: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. უფრ-
 ნალ „კლდის“ ხელის მოწერით, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა
 (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ პირველ მკათათვემდე. „კლდის“
 ხელის მოწერით, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“
 მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.
 კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნო-
 ბონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვია.

ხის ხეობა ჩვენიც და ოსმალეთისაც, ქარ-
 თველებით დასახლებული, ოხრდება და
 ტიალდება, რომ არდავანის ოლქის
 მკვიდრი, იგივე ქართველი, მხოლოდ წი-
 ნასწარმეტყველ მაჰმადის მოძღვრების
 მიმდევარი, სულით-ხორცამდე დაიღუ-
 პაო, და მინც იმას გაიძახიან—ბრძოლის
 ველის სიხლოვეს ცოტა ქართველობა
 სცხოვრობსო. მარტო ბათუმისა და არ-
 დავანის ოლქებში 200.000 მცხოვრებზე
 მეტია ქართველი და თუ ეს ცოტაა,
 ბევრი რაღაა? რა მიზეზია, რომ მარტო
 ქართველს არაფერს გვიჯერებენ

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ჩვენ არ ვი-
 ცით, რად გვემართება ასე. ძაფი მუდამ
 ჩვენზე წყდება. თუ ავხრდით და ყვი-
 რილი დაეწივით, გვაშვიდებენ, რო-
 გორც ბავშვს, ან ზღაპრის დაგვიძა-
 ხებენ. განსვენებულმა გრაფმა გვიდგინა
 საჯაროდ სთქვა, რომ რუსეთის იმპე-
 რიაში ავტონომიის უფლება მარტო ქა-
 რთველებს აქვსო, თუ სხვასაც მივანი-

ქვთ ავტონომიას, ეს უნდა მოხდეს
 ჩვენის ნებაყოფილობითო.
 რად გვემართება ისე, რომ ერთნი
 ავტონომიის ღირსად მარტო ჩვენ
 გვთვლიან, ხოლო მეორენი „ბუტისა“
 გვეძახიან და ისე გვეპყრობიან როგორც
 ცეცქ ბავშვს?
 ა.—ლი.

კვირას, 7 ივნისს დ. ახალ-სენაკში გარდაიცვალა გვარდიის
 პოლკოვნიკი თავადი
ოტია ელიზბარის-ქა და დინანი,
 რასაც მწუხარებით აცხადებენ მეუღლე მისი წინა დარია ლუარსაბ ჩო-
 ლოყაშვილის ასული, ძენი მისნი დავითი, ივანე და ლუარსაბი, ასულნი მის-
 სი კნ. ეკატერინე ქოჩიაძისა, კნ. ნინო ერისთავისა, ანა მდივანისა და
 კნ. თამარ ყიფიანისა. ცხედრის გამოსვენება ახალ-სენაკიდან დღის 10 ს.,
 დასაფლავება იმავე დღეს სოფელ ქვაშხორში, სასახლის ეკლესიაში.

უნებლიე გვაგონდება მეორე ბრძნე-
 ლი თქმულება ქართველ ერისა. შეხირ-
 დნენ თურმე ერთხელ ჯავახი-ქართველი
 და თურქი ლობიოსა. და ფლავის ღირ-
 სებაზე. ჯავახი გატაცებით ამტკიცებდა
 —ლობიოს ვერც ერთი საქმელი ვერ
 შეედრება, იგია დედოფალი ყველა საქ-
 მელისაო. ასეთივე სიმტკიცით იცავდა
 ფლავის უპირატესობას თურქი. რა კი
 თურქმა თავისი ვერ გაიტანა და ჯოჯუტ
 ჯავახს ქელი ვერ მოახრევინა, გულმო-
 სულმა სიბრძნით შესძახა: კაცო, თუ ჩე-
 მი მტკიცება არა გჯერა, ერბოსი
 მინც შეგვრცხვესო.

თბილისი, 9 ივნისი. კავკასიის ჯარის
 მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა.
 7 ივნისს უმნიშვნელო შეტაკება ხდე-
 ბოდა ოლთისის მიმართულებით. ოსმალ-
 თა ცდა, რომ იერიშით შემოეცხათ
 კალაჯიკის მთაზე, ჩვენ მიერ შეჩერებულ
 იქმნა. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ
 მომხდარა.

საქართველოში. ბერლინიდან იუწყებიან,
 რომ ხორციის უქონლობის გამო გერმა-
 ნელი პროფესორები ურჩევენ საზოგა-
 დოებას ხორციის მაგიერ ყველა იხმარონ.
რომი. ივნისის მე-9 დღე. იტალიის
 მთავარ ბანაკის უწყება ივნისის მე-8
 დღისა. ტროლ-ტრენტინის ხაზზე თვალ-
 საწინაო არა მომხდარა რა, გარდა უმნი-
 შენელო დაზვერვისა სან-პალეგერინოს
 ხეობაში, საცა ჩვენ ავიღეთ პუნტატასკი,
 დაზვერეთ აგრედე კოროდევოლის
 ხეობა:

თბილისის სახაზინო თეატრი
 შაბათს 13 ივნისს
 ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით თვის ნივთიერ საშუალებ-
 ბათა გასამღიერებლად გაიმართება
სამხანაპრო-სამუსიკო საღამო
 I.
პირი-მეფე
 ბრძოლა კეთილ და ბოროტ სულთა შორის) ზღაპარი-პოემა ერთი მოქმედო-
 ცხვერავლისა. გალექსილი შ. დალიანის მიერ. დასდგამს ალ. წუწუნავა.
 II.
აგესალომ და ეთერი
 ქართ. ორიგინალური ოპერა ზ. ზ. ფალიაშვილისა, პირველი სურათი, ავტორის
 ლოტბარობით. რეჟისორი ალ. წუწუნავა.
 III.
საომნსარტო განყოფილება
 1. ბოროდინი. Вь средней Азии. სიმფონიური პოემა, შეასრ. სიმფონ. ორკეს-
 ტრი ზ. ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
 2. გრიგი PEER GYNT. ა) Утро, ბ) Смерть Азы, გ) Танець Анитры, დ) Вь
 чертогахъ царя горь. 3. სვენსენი.Зарокайда. 4. სიბელიუსი. Вальс печали.
 5. როკე-დოლუაზი. Сигнальные рожки.
 6. ზ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება:
 7. რომსკი-კორსაკოვი—ალმოსავეტის რომანსი. 7. ზ. ზ. ფალიაშვილი—ნანა-შვი-
 ლი. 8. მისივე—კვარტეტი და არია ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ შეასრუ-
 ლებენ: ქქ-ნი მ. კოლოტოვისა და პრესინსკაია; ბბ. გურჯი და პეტროსიანი.
 მონაწილეობენ: ქქ-ნი ევა ბრიუნელი, მ. კოლოტოვისა, პრესინსკაია, ბბ-ნი ზ. ზ. ზ.
 ფალიაშვილი, ი. ზ. სარაჯიშვილი, ი. ტომაშვილი, გურჯი, ინაშვილი, პეტროსიანი.
 ქართველ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა ჯგუფი, ქართულ ფილარმონიულ
 საზოგადოების ხორო და გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი „ახალი კლუბისა“
 დასაფარის სურათად 8 ნახევარ საათზე
 საღამოს დიასახლისნი: გოგარ ხანუმა პრინცესა კაჯარი და კნ. ელისაბედ
 ერეკლეს ასული ჯამბაკურ-ორელიანისა.
 ბილეთები ამ თავითვე იყიდება „მშური ნუგეშ“-ის საჩაიფი, გოლოვინის პროსპ.,
 № 16, ხოლო წარმოდგენის დღეს სახაზ. თეატრის კასაში. 3—1

სწორედ ასევე უნდა მოვხსენიოთ ბ-ნს
 სენატორს. თუ ჩვენი არა გჯერათ, თუ
 არა გწამთ არც ისტორია, არც ეთნოგ-
 რაფიკა და არც ენა, მაშ კეთილ ინე-
 ბეთ, მობრძანდით და მოიარეთ თეხით
 ან ცხლითა აქა-სა, ტა-სა, კლ-სა, ში-
 შეთი, ერუშეთი, თორთუმი, ლახსტანი
 და იხილეთ თქვენის ბედნიერის თვა-
 ლით მარტო-მარტო დიდებული ტაძა-
 რი ბანისა ოლთისის ახლოს. ვანა ეს
 ძვირფასი თვალ-წარმტაცი ნაშთი წარ-
 სულსა და სხვა აუარებელი საყდარ-
 მონასტერი ქართველის კურთხეულ მარ-
 ჯვენას არ აუშენებია? თუ არ ჩვენ, მაშ
 ვინაა მისი აღმშენებელი, მისი მომრ-
 ველი?

პატრონზადი, 9 ივნისი. მთავარი შტა-
 ბის ოფიციალური მოხსენება. შავლის
 რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი ექვს
 ივნისს მტერს ზურგიით მოექცა სოფელ
 ტელმესა და დენიჩიკის შუა და მტრის
 სურსათი და ტყვიის ყუთები გაანადგურა.
 მდ. რინგოვთან 8 ივნისს ჩვენი ქვეითი ჯა-
 რი ეგვეთა მტერს და საგრძობლად წინ
 წავიდა. ნემანიდან ჩრდილოეთით, ბრძო-
 ლის მარჯვენა პირზე და ვისლის მარც-
 ხენა ნაპირზე სიჩუმეა. ჩვენი ქვეითი
 ჯარი მდ. ტანევეზე ღამით მოულონელად
 გადავიდა და სოფ. ოსხთან გაანადგურ-
 ა ავსტრიელითა მე-82 პოლკი. თემდე,
 მეორე დღეს, ჩვენ მოვიყვარეთ მტრის
 სასტიკი იერიშებიც ეხანოვ-რაგა-რუსკა-
 იას ხაზზე. მთელი დღე და ღამეში ტყვედ
 წამოვიყვანეთ 840 ჯარისკაცი, ოცდა-
 სამი აფიცერ და 3 ტყვისმფრქვეველი.
 ლოვრის მიმართულებით სროლა არ შე-
 წვეტილა. დნესტრზე ნიფნიოვთან საგრ-
 ძნობლად ვიმარჯვებთ. ავსტრიელებმა
 დნესტრზე კარგა ძალები გადაიყვანეს.
 მათთან ჩვენს ჯარებს მოუხდათ შეტა-
 კება 2 ივნისს ოსტრა-კოროვე-კოსმერ-
 ტინ-სროლდუ-გოზილვისა და უნი-
 შის ხაზზე. 8 ივნისს ეს ბრძოლა ჩვენდა
 საკეთილოდ დამთავრდა. სანოვილუთან
 სასტიკი წინააღმდეგობა გავიწვია მტერ-
 მა. აქ 3,500 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ.
 დავალდ მრავალი ტყვისმფრქვეველი
 დავტარა. მტერმა გზაბანეით დაიხია.
 ნაოტებ მტერს ჩვენი კახელები ფეხდაფეხ
 მისდევნენ. კოროვეტთან და კოსმერტინ-
 თანაც უკან-უკან იხევს. ყოფიანთან და
 ქალ. ზალუშიკთან მტერი მათულებს
 ხლართს ამოფარა. ზახულიცე-ონუნტ-
 ში ჩვენი ჯარები გადავიდნენ დნესტრის
 მეორე ნაპირზე. 8 ივნისს ღამით, სოფ.
 ბალაშეტოკასთან, რუაგენთან და
 გრომეტთან იერიშით ვეკვეთეთ
 მტერს. 1,000 ტყვედ წამოვიყვანეთ. მათ
 შორის მე-42 დივიზიის უფროსი და
 მრავალი ტყვისმფრქვეველი.
ძრისტიანია, 9 ივნისი. მუშათა და
 პატრონების შორის განხეთქილება მოხ-
 და ეკონომიურს ნიადაგზე. პატრონებმა
 ლოკაუტე გამოუცხადეს 40,000 მუშას.
რომი, 8 ივნისი. ოფიციალური უწყე-
 ბა. წვიმა-ბურუსიანმა აინდმა რაოდენ-
 ნადმე შეაჩერა სამხედრო ოპერაციები.
 მთებში ჯანყია. მონტენეოს რაიონში
 დაქურლ პოზიციების გამაგრება მოვა-
 ხერხეთ. იზონკოზე მტრის ორი კონტრ-
 იერიში მოგერიებულ იქმნა. 5 ივნისს,
 ღამით, ავსტრიელთა ჰეროლანმა რამ-
 დენიმე ყუმბარა ჩამოაგდო სასანიტარო
 მატარებელზე, რომელიც სადგურიდან
 კარმონისაკენ გაემართა. მსუბუქად და-
 იქრა მემანქანე, ხოლო ვაგონები და-
 ზიანდა.

ლონდონი. ბლუზონციინიდან იტყო-
 ბინებთან, რომ გენერალი დევეტი ბრა-
 ლდების პირველი რვა მუხლის ძალით
 დამანაშავედ არის ცნობილი, მხოლოდ
 ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა

ლოკტორი მელიციენისა
 მოსე ანთიმოსის ძე
პალანდარიშვილი
 ზღროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
 ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნე-
 ულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე
 საღ. 5—8 საათამდე, კვირა დღის გარდა.
 ილღას ქუჩა, სახლი მელიქაზარიაძისა

როგორც თუ მოვევებით ყა-
 ყანს, ბუტიას დაგვიძახებთ, მამაშვილუ-
 რად დაგეტუქსათო,
 ჩვენი დატუქსა დიდმა ბობოლეებმა
 მეორე ბუნებად გაიხადეს. ამას წინად
 ქ. ვიცის გერმანელ კონსულის დეპეშა
 გამოაქვეყნეს. ჩვენ აუყაყანდით და მოვი-
 თხოვეთ—უარპყავით ეს ამბავი, ხომ
 შეპირად იცით, რომ ეგ ამბავი სირუჟეა
 და ცილისწამებიაო. გაოცდნენ, ვანა
 პირის ამბზე ლაპარაკი, ვის შეუვა ეჭვი
 ქართველის ერთგულებაში და საქმეც
 მიუჭრდა.
 ამ ორიოდ წლის წინად შინაგან სა-
 მინისტროდან მოვიდა ბრძანება—აოუს-
 ხეთ მოქალაქეთა რაოდენობა ეროვნება-
 თა მიხედვითო. ბრძანებას თან მოჰყვა
 პეტროგრადის დამზადებული ბლანკები,
 სადაც ყველა ეროვნება იყო დასახელებ-
 ბული, დავიწყებოდათ მხოლოდ ქართვე-
 ლები. სჩანს სამინისტროში არა სცოდ-
 ნათ, რომ თბილისი ქართველთა დედა-
 ქალაქია და არსებობს ქართველი ერი.
 ბრძანებამ და ბლანკებმა გზად გაიარა
 კავკასიის უმთავრესი გამგეობა და ვერც
 იქ შეუნიშნათ ეს საოცარი დასრუტება
 და დაშრობა მთელს ერისა
 ქალაქის თვითმართველო-
 ბის მოხელეებს თურმე სირცხვილით ბუ-
 წუწუბი დაეწვათ და ახალი „გრაფა“
 მიუმატეს ბლანკებს, სადაც აღნიშნეს
 ქართველთა არსებობაც.

ქიმიკი ნ. მ. კლიმიშვილი
 იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულ-
 ბიან ავადმყოფებს.
 აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

გ ა ა ს ი
 VII.
 ბუტია ერი.
 ბუტიას გვეძახიან... რად მოხდა ესა,
 არ ვიცი. ავერ ესლაც სენატორმა ნე-
 დგარდმა ბუტია დაგვიძახა—ქართვე-
 ლები გაგვებუტნენო. ფიქრადაც არ
 გავსვლია გვეწყინებინა ქართველების-
 ლის და მინც გაიბუტნენო. მამაშვი-
 ლურად დაგეტუქსა ჩვენე და, ვგონებ,
 მით გათავდებდა ის აურზაური და კო-
 რინტელი, ანუ ინციდენტი, რომელიც
 გამოიწვია სამართლიანად ჰიბარშივი-
 ლის წყრობით სავე პრეტესტმა.
 ებრაელი, ღმერთს ნუ ჰვიცავო და

ის მინც „ღმერთმანის“ გაიძახოდა,
 სწორედ ის გვემართება ჩვენ. ბ-ნი სე-
 ნატორი იმით მართლულობს თავს, რომ
 იმ ადგილებში, სადაც სისხლი იღვრება,
 ქართველები ცოტანი არიანო. ასე რომ
 გულმავიწყობა და ქართველების გამო-
 კლება იმ სიიდან, სადაც ჩამოთვლილია
 იმპერიის სხვა და სხვა ერი, ომისაგან
 დაზარალებული, დიდ ცოდოდ არ უნდა
 ჩაგვეთვალდო.
 მაშ რა არის ესა, თუ არა იმ საზღაპ-
 რო ისრაელის ამბავი, რომელსაც ქარ-
 თული თქმულება ეხება. მთელს დუნისა
 გამოუქედეთ ყურები, ესრედ წოდებული
 რუსთა მიერ აპარა, ომის ქარცხელმა
 დედაბუდიანად ამოაგდო, რომ ქორო-

ამ სახით ჩვენის არსებობის უფლება
 აღვადგინეთ, მაგრამ საოცარი ისაა,
 რომ მარტო ჩვენ, ქართველებს, გვემარ-
 თება ესეთი „ნედორაზუმენიე“, როგორც
 ბრძანებს ბ-ნი სენატორი ნეიდგარდტი.

ლონდონი. ბლუზონციინიდან იტყო-
 ბინებთან, რომ გენერალი დევეტი ბრა-
 ლდების პირველი რვა მუხლის ძალით
 დამანაშავედ არის ცნობილი, მხოლოდ
 ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა

ლონდონი. ბლუზონციინიდან იტყო-
 ბინებთან, რომ გენერალი დევეტი ბრა-
 ლდების პირველი რვა მუხლის ძალით
 დამანაშავედ არის ცნობილი, მხოლოდ
 ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა

გ ა ა ს ი
 VII.
 ბუტია ერი.
 ბუტიას გვეძახიან... რად მოხდა ესა,
 არ ვიცი. ავერ ესლაც სენატორმა ნე-
 დგარდმა ბუტია დაგვიძახა—ქართვე-
 ლები გაგვებუტნენო. ფიქრადაც არ
 გავსვლია გვეწყინებინა ქართველების-
 ლის და მინც გაიბუტნენო. მამაშვი-
 ლურად დაგეტუქსა ჩვენე და, ვგონებ,
 მით გათავდებდა ის აურზაური და კო-
 რინტელი, ანუ ინციდენტი, რომელიც
 გამოიწვია სამართლიანად ჰიბარშივი-
 ლის წყრობით სავე პრეტესტმა.
 ებრაელი, ღმერთს ნუ ჰვიცავო და

ამ სახით ჩვენის არსებობის უფლება
 აღვადგინეთ, მაგრამ საოცარი ისაა,
 რომ მარტო ჩვენ, ქართველებს, გვემარ-
 თება ესეთი „ნედორაზუმენიე“, როგორც
 ბრძანებს ბ-ნი სენატორი ნეიდგარდტი.

ლონდონი. ბლუზონციინიდან იტყო-
 ბინებთან, რომ გენერალი დევეტი ბრა-
 ლდების პირველი რვა მუხლის ძალით
 დამანაშავედ არის ცნობილი, მხოლოდ
 ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა

ლონდონი. ბლუზონციინიდან იტყო-
 ბინებთან, რომ გენერალი დევეტი ბრა-
 ლდების პირველი რვა მუხლის ძალით
 დამანაშავედ არის ცნობილი, მხოლოდ
 ორი უკანასკნელი მუხლი ბრალდებისა



გამგეობას შესახებ ჩემ მიერ შედგენილი ქართულ-რუსულ ლექსიკონისა, და, ალბათ, ეს მოხსენება განიხილეს 12 მაისს, თორემ მე თვითონ არ დავსწრებივარ სხდომაზე. „10,000 სიტყვაზე“ ჩემს მოხსენებაში კრინტი არ დაძრულა. ჩემს მოხსენებაში, სხვათა შორის, მე ვუჩვენებდი იმ ხელნაწერებს, ძველ და ახალი დროის მწერლებს, სახალხო სიტყვიერების ნიმუშებს, რომლებიდანაც შევიკრიბე სალექსიკონო მასალა, და ბოლოს ვუმატებდი: თეთრად უკვე გადაწერილ სიტყვებს ასობზე ა, ბ და ჰ და მარტო ამ ასობებზე 5000-დე მეტი (შედარებით საბასი და ჩუბინაშვილის ლექსიკონებისა) შევადინე ჩემს ლექსიკონს-თქო, და აქვე ვერთავდი შედარებითის ცხრილს:

საბათი	ჩუბ-ლით	ჩვენით
ასობზე ა 1400	2400	6400
ბ 650	980	1800
ჰ 75	46	174
ჯამი 2025	3426	8375

შედარებით არსებულ ლექსიკონისა ჩემს ლექსიკონში 45,000—50,000-ზედაც მეტი სიტყვა უნდა იყოს. ამ შრომას ჩემი მოვანხარეთ მრავალი წელიწადი. ყველაზე ვუჩვენებთ ტექსტს, კაბადონს, ფრანკს, სადაც ნახმარია ესა თუ ის სიტყვა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარს შედარებით ლექსიკონს, სჩანს თუნდა სიტყვის ბაგურის განმარტებიდან.

საბას ლექსიკონი: „ბაგურის მარისს გაეს, ოქრომქედენი იხმარებენ ოქროს დასადნობლად. იერემ. 2, 22.“

„არა ორგანიზალ ქიმიის ტერმინებ“—ში 1914 წელს ქართ. ექიმების შედგენ. გაორცემი: „ბაგურის—ბორა, ბორაკი, —borax Bo ელემენტი“.

ჩემს ლექსიკონში: „ბაგურის=სლავ. бѣгъ=LXX მთარგმ. დაბად.. 2, 22: бѣгъ. ბერძნ.—რუს. დიდს ლექსიკონში: бѣгъ—алкали. щелочная соль; селитра.“

მ. ჯანაშვილი.

ჩვენ, ჩემი და ქარ-თვალის ჯარისკაცები

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ბევრს საგულისხმოს ეუბნება მკვიდრის გულს. ვინ იცის, რა მოგვივა: ვიქცევით, აღვსდებით, თუ მუდამ მხოლოდ ხაზზე უფერულად და უგემოდ ზღაპრულ დაუწყებელ ჩვენთვის დს. ერთი კია, რომ საქართველომ უს უკვე მიაღწია სათავეს დაღუპვისას აღდგომისაც.

საქართველო, სანამ კულტურულად და ეკონომიურად გაერთიანებას მოასწრობდა, გარდაიქმნა სხვა და სხვა უცხო თეორიებისა და შეხედულებათა სამყარო ბადად. მებაღებები საუკეთესო პრიალა დანებით შეიარაღებულნი უხვად ანევენდენ „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტ“ მხარეში ახალ-ახალსა და უცნაურ აზრებს, მაგრამ, როგორც უკვდავი ილია ამბობდა:

„არსადამ ხმა, არსიდ ძახილი!... მშობელი შობილს არას მეტყვიდა...“
 უცხო აზრებით შეიარაღებული დღეს-ტარებო პირველად უმიმდობას მიეცნენ. „მშობელი შობილს არას მეტყვიდა...“ სინამდეა საქართველოს. მისი გამოღვიძების წამი ამავე დროს უნდა ყოფილიყო რაღაც დიადი შენჯღრევის მსგავსი, არაღდან საუკუნეებით მიძინარ ერს უცხად არ შეეძლო თავის სულიერ ძალთა სისწორით და უცდლოდ ამუშავება, ამოქმედება. დიდი ხნის ნამძინარი გამოღვიძების დროს დარეტიანებული უღაპათოდ წამოვიარდება ხოლმე. ასე უნდა მომხდარიყო ერის ცხოვრებაშიც. ცხოვრება დღენ და აუქარებელი, საზოგადოებრივი საკითხი მივიწყებული, მიჩქმალული, სრული უმიმდობა, უსასოება და ასეთ დროს „დემონის“, ხალხის თვითმოქმედებაზე განა შეიძლება ლაპარაკი? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეც-ბრამეტე საუკუნის გასულს, როცა როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც ისახებოდა სახალხო მოძრაობა, რომელი მომქმედი პოლიტიკური პარტია უნდა მისულიყო ხალხთან, უკანასკნელი ყველას დაედნობოდა, ყველას გაჰყვებოდა, ვინაიდან ეკონომიურად და პოლიტიკურად დაბეჯავებულ ერს ესაჭიროება წინამძღოლი, დამრიგებელი, რომ შემდეგ მანამ დაფარული ძალა. თვით თავისთავად მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოეპართა. უქმყოფილების გრძნობით შეპყრობილი ხალხი—ეს გულის ის წმინდა ფიცარია, რომელზედაც, ფილოსოფოს ლოკის სიტყვით, ყოველისფერის დაწერა შეიძლება. ხალხი ელოდა მესიას, უკეთ რომ ესტევათ, მესია თვით მოელოდა ხალხს, ხოლო უკანასკნელმა თავის ნდობით აღჭურა მაცხოვარი.

იყო ეს მოძრაობა განმათავისუფლებელი და განმახლებელი აღორძინებარენენასი? ეს ცალკე საგანია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ საქართველომ რაც მაშინ ენერგია დახარჯა, ყველა ის თუ არა, ნაწილი მაინც ეროვნული გინაობის საკითხის გამოკვეცას რომ მოხმარებოდა, მაშინ ჩვენი ერი დღევანდელ უსაშინლეს ომის დროს უნებლად მაცქრალი არ იქნებოდა ისტორიულ ქართველთა. ჩვენ რომ ფუქსავატად არ გაგვეჩინებინა ჩვენი ენერგია, ესლა შემუშავებული გეგმებოდა ეროვნული იდეალის, ეროვნული პროგრამის ყოველივე წვრილმანი, გვექნებოდა ერთი ეროვნული კულტურული პროგრამა და იმის მიხედვით გავაშუქებდით ყოველგვარ საქორბორტო საკითხებს. ესლა კი...

ყოველი გაზეთის ყოველ ნომერში წუწუნდი და მოთქმა-გოდება ისმის: ჩვენ დაფანტულნი ვართ, ურთიერთის არა გვექმის

რა, ერთმანეთს ვუბღვირთ, ვებუტებით და ვვრიდებით...

იმ დროს როცა ინტელიგენცია, ეს მარტივი ქვეყნისა, სდუმდა და ოცნებობდა, ხალხთან ის მივიდა, ვინც მეტი საქმიანობისა და მოქმედების უნარი გამოიჩინა. თორემ უნარი რომ ყოფილიყო, მაშინ „ეროვნული ინტელიგენცია“ რაღაც სანატრელ რამ ცნებდა არ გადაიქცეოდა. ესტრიტი და ვგოდებთ, ვგოდებთ და ესტრიტი—ეს-ლა დაგვრჩენია ერთად-ერთ ფარად და იარაღად...

ცხოვრება კი წინ მიდის, ის არ იცდის და ვერც შეეჩერებთ. ქართველი ხალხის აზროვნებას დაჰპატრონებია განუყვეთელი გონებრივი წყვილი, რომელიც მრავალს მასალას იძლევა ყოველგვარ მკითხაობისა და ცრუმორწმუნეობისათვის. ხალხი ქადაგად დაცა. მომავლის განუქრეტელობის შიშით მის ისევ მკითხავის ალალ ბედზე მიუვდია საქმე. იმის მაგიერ, რომ ქართველმა ინტელიგენციამ მტკიცე ეროვნული პოლიტიკა აწარმოვოს, იგი გულზე ხელდაკრეფილი შეპყრებს მაცდური ბედის ცვალებადობას. ინტელიგენციასთან ერთად ხალხსაც აღარ სწამს მომავალი.

„უქმად ხომ არ ჩაივლის ეს ამოდენა მსხვერპლი“—იწერება ერთი ჯარისკაცი, რომელიც მონაწილე ყოფილა მრავალი ბრძოლისა და დღემდე რაღაც შემთხვევით მაინც შერჩენია სული. თითქოს მესამოცე წლების მიწურულში ესცხოვრობდით, როცა სასოწარკვეთილებას მიეცემულმა ობოლმა და „მეთსაფარმა“ ბარათაშვილმა გულის საოხად წამოიძახა: „კულდად ხომ არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“—ო!! ეს სიტყვები არ იყო მართლად უთაჯო-ბისა და სილამის აპოლოგია. არა, აქ უფრო მეტი იმედი და სიმხნევე მოსჩანდა, ვინემ ბედის სამღურავი, იმედის წარკვეთა, მომავლის არცნობა. საქართველოს „მერანის“ ქროლვაში ბარათაშვილი პოეზება დაუდგებარო სულის შეუპოვარ ლტოლვილს, მისმა გენიოსურმა ალლომ განსჯერბა უკუნეთ წყვილიდში საქართველოს მომავალი, გადასჭრა „ბედის ქართლისა“. მეოცე საუკუნის ჯარისკაცსაც სწამს მომავალი, ვინაიდან ბარათაშვილთან ერთად სჯერა, რომ გზა უფალი მისგან თელღო მაინც დარჩება...

ქართველი ჯარისკაცის სულისკვეთება უფრო შეშენის ჩვენ წინაპართა გმირულ ტრადიციებს, ვინემ შინ დარჩენილთა მისწრაფება და მოქმედების ხასიათი. ამას გვეუბნება ჩვენ საქართველოს დღევანდელი ვითარებაში ოდნავი ჩახედვა და დაკვირვება...

დ. ა—ძე.

პ რ ე ს ა

რუსი მწერალი იასინსკი ბათომში იჯდა და ბრძოლის სურათებს სწერდა. ბოლოს მოწყინდა და ისევ პეტროგრაფს გაემგზავრა. ვაზლ მიმავალმა „კავ. სლ.“-ს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. მისის აზრით, აჭარა ყვეის და იფურჩქნება, დიდი საქმე გაკეთდა ხალხი მშვიდობიან მუშაობას დაუბრუნდა. ესლა ეს საუცხოო ქვეყანა, რომელსაც შეიძლება დაერქვას კავკასიის მარგალიტი, მშვიდობიანად განსჯერბა. ამის თქმა თამამად შეიძლება.

თამამად ყველაფრის თქმა შეიძლება. მართალია, აჭარას „შეიძლება დაერქვას კავკასიის მარგალიტი“, ისიც მართალია რომ აჭარაში „დიდი საქმე გაკეთდა“, ალბად ისიც მართალი იქნება, რომ ეს ქვეყანა ამ ჟამად „მშვიდობიანობის განცხრომაშია“, მაგრამ ისიც მართალია, რომ გუშინწინ ბათომის ოლქში გაიგზავნა ყოფილი საოლქო საერობო აგრონომი, რომელსაც სხვებთან ერთად დავალებული აქვს სხვის ნაპირისა—ლიმანისა, მაკრიალისა და ხოპას გამიჯენა, დაყოფა და დამუშავება... ალბად აჭარელთათვის.

შეიძლება ესეც მართალი იყოს.

ესლა ყველაფერი და ყველა მართალია გარდა ქართულ გაზეთების განვაში შესახებ გურია-სამეგრელოს დამშვებისა. „კავკასი“—ში ოფიციალური განმარტება იყო დაბეჭდილი. ნახევარი მილიონი დახმარება ნახევარ მილიონ ხალხზე, ე. ი. სულზე მანეთით. ქართულ პრესის ყვირილი თურმე ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, „ვითომ მოუსავლობის გან დაზარალებულ ხალხის მდგომარეობა არ იცის მთავრობამ, ან მან თავის დროზე და საკმაო სურსათი არ მიაწოდა ხალხს“. ოფიციალური „კავკასი“ ამას

უარყოფს, ხოლო არა ქართული „კავ. სლოვა“ სწერს:

ჩვენ ადრევე ვამბობდით, რომ გამოკვევა ხალხის გაჭირვებისა მეტად ნელა ხდებოდა და ხედავ, ხოლო საგუბერნიო გამოსაკვები კომიტეტი გადაჭარბებულის სიფრთხილით იქცევა. მაგალითად, მან ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის ნათხოვნი 241,000 მანეთი შეამცირა 89,000 მანეთამდე. 12 აპრილის ქურნალში თბილისის კომიტეტი სწერდა, რომ გურიაში სიმინდი მხოლოდ გაჭირდა და ადგილობრივ არ იშოვება, ხოლო შემოაღნიშნულ მაზრაში გლეხთა დამშვება მხოლოდნელი არ არისო. თვითონ გურულები და სამაზრო კომიტეტი სხვანაირად სჯიდნენ და, ჩვენის აზრით, მათი სჯა უფრო სწორი გამოდგა. ოფიციალურმა ცნობამ ახალი არაფერი გვაძენა; მან მხოლოდ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ „მოსავალი დამკაცყოფილებული“ არ იყო.

განსხვავება ქართულ გაზეთებსა და ოფიციალურ განმარტების შორის შემდეგში მდგომარეობს: ხალხი რომ ათასობით დაძრწის მშვიერ-მწყურვალი დაბასოფლებში და მაზრის უფროსს მუხლმოდრეკილი შევლას ევედრება, ან გაფაციცებით დაქედებს ერთ მუჭა ფეკოს, ამას ჩვენებურად, მდაბიურად უწოდებენ „შიმშილს“, ოფიციალურად კი—„მოსავალი დამკაცყოფილებული არ იყო“. ეთქვათ ქართული პრესა მართლა „ახვიადებს“, მაგრამ რთი აიხსნება ასეთი საშინელი თავის შედეგით წინააღმდეგობა: პრესა შარშანვე სწერდა, რომ შიმშილი აუცილებელია, საგუბერნიო კომიტეტი კი, სტატისტიკურ მასალებით აღჭურვილი, ორი თვის წინად თავის ოქმში გულს იმშვიდებდა: „გლეხთა დამშვება მოსალოდნელი არ არისო“.

ოლთისის საზხრე-ითი ბრძოლა

ოფიციალურ გაზეთ „კავკასი“ შემდეგს წერილს უძღვნიან ოლთისის სამხრეთით ბრძოლას. მოგვყავს შემოკლებით: ფართე ფრონტს ოლთისის მხარეს, დაწყებული ქორხიდან ვიდრე ოლთიჩამდე, ამბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცის ოსმალებმა. მათ ამ ადგილებში თავი მოუყარეს დიდალ ჯარს, ყოველგვარ იარაღით აღჭურვილს და უკვე მათე დღეა სცილობენ თვითონ ჩავედით პირველობა. ხან ერთს მხარეს და ხან მეორეს მოჰქონდათ იერიში. ნამეტნავად ქორხიხისა და ტოტრუმგელის მდინარისკენ აწეებოდნენ. პირველად როცა აქ რუსის ჯარი გამავრდა, ოსმალები არც კი სცილობდნენ ხელი შეეშლნათ, ხოლო ამ ჟამად მათ ნაბრძანები აქვთ, ქორხიხიდან და ოლთიჩიდან უკან დაახევიონ, რათა ამით არზრუმთან გზა გაიხსნან ზღვის პირად მდგომარე ფრონტთან საქმის დასაქერად და სურსათის მისაწვდენად.

ეს გზა უწინ რუსებს ეჭირათ და ოსმალებს უბრკოლებდნენ სურსათის და ჯარის მოშვებებს. ესლა რომ უზრუნველყოინ ზღვის პირად თავიანთი ჯარის სურსათის და იარაღის მოშვებით, ოსმალები სცილობდნენ ეს გზა ხელთ იგდონ რათა ამ გზით არზრუმდენ ჯარი ასაზრდოვონ. იქნებ ეს განზრახვა ოსმალებს კეაილად ვერ დაუგვირგვინდეთ, მაგრამ ცხადია რომ ამ ადგილს დიდს ყურადღებას აქცევენ.

ოსმალებმა აქტური მოძრაობა მაისის შუა რიცხვებიდან და დაიწყეს ოცდა-ოთხ მაისიდან თანდათან მათი ბრძოლა გაძლიერებულ იქნა. ამ ხანად ოსმალებს საკარძობი ძალა მოემტათ. ბრძოლის ასპარეზზე ისეთი ქვეითი ჯარი გაჩნდა, რაიც კავკასიის საზღვარზე ჯერ არ გვიხმავს. საბრძოლველად დასვენებულ ახალ ძალას უშვებენ. ხუთის დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა რომ დიდი ზარალი აქვთ, ყოველ დღე იერიში მოაქვთ ხან მთელს ფრონტზე და ხან ფრონტის რომელსავე ნაწილზე.

შემდეგ გაზეთი ასწერს იმ ცნობებს, რაც მოხდა მაისის გასულამდე. ეს ცნობები ჩვენმა მკითხველმა დაახლოებით უკვე იცის.

გერმანიის წყალ-კეპაბთა ისტორია

ინგლისმა თვის ძლიერის ფლოტი ზღვაში გასავალი შეუკრა გერმანიის და მოუსპო ყოველგვარი საშუალება შინ სურსათის შემოზიდვისა და თავის საქონლის გარედ გატანის. თუ სხვა გზით არა, შიმშილით მოისურვა მტრის დამო-

წავება. ხმელეთის ძლიერი ლომი დაერიდა ინგლისის ფლოტთან პირისპირ ბრძოლას, მაგრამ „ნაშაფურის“ მიუზღველად მოპირდაპირე მაინც არ დასტოვა. ალყის შემორტყმის, ალყის შემორტყმითვე გასცა პასუხი, ხოლო არა დრედნოუტებით, არამედ პატარა წყალქვეშა ნაევებით. ბრძოლის ყოველ-დღიური ქრონიკა მდიდარია ისეთი ამბებით, რომლებიც გვაუწყებენ გერმანიის წყალქვეშათა თავგანწირულ და ნაყოფიერ მოქმედებას. ინგლისი ძლიერ შევიწროებულად გრძნობს თავს. ერთი ორად იკლო იმ გემებისა და ტრანსპორტების რიცხვმა, რომელთაც საკვები და სხვა საეკარო მასალები ინგლისში შემოჰქონდ-გაჰქონდათ. არავის ეგონა თუ წყალქვეშა ასეთ დიდ სამსახურს გასწევდა ომის დროს. ყველა ამ მოსაზრების გამო საქიროდ მიგვაჩნია მოკლე ისტორიული მიმოხილვა წყალქვეშათა შენებისა გერმანიაში.

წყალქვეშათა ასაგები თანხა გერმანიის ბიუჯეტში პირველად 1906 წელს შემოიღეს. სულ ორი წყალქვეშა უნდა აეგოთ, ერთი თვით სახელმწიფოს სახელსონოში, დანკავს, მეორე სახელსონო „გერმანიაში“, რომელიც კილში იმყოფება და ეკუთვნის ცნობილ კრუსს. ორივე მარტივი და უბრალო ნაეი იყო. ერთის წყალ-წყვა უდრიდა 180 ტონას, მეორისა—240. წყალქვეშები მოძრაობაში მოყავდა შეუქმშულ ორთქლს, და საათში 8 ან 10 კვანძამდე გადიოდენ. თითოეული შეიარაღებული იყო ორად-ორ ნაღმი-სროლია მილით. ერთს ერქვა U, მეორეს V, ორივეს ნავთის შემწვობით ათბობდნენ. დაახლოებით ამგვარი ნაკეთობისა და ხარისხის იყო ის ექვსი ეგზემპლარიც, რომლებიც ამ პირველ ორ ტიპს მოყვა, V³, V⁴, U¹, V⁵, V⁶, და რომლებიც სახელსონო „გერმანიაში“ ააგეს 1908—1910 წწ. შორის, ამათი წყალ-წყვა 200—300 ტონას არ აღემატებოდა. ზღვის ზედაპირზე 12 კვანძამდე გადიოდნენ საათში და შეიარაღებულ იყვნენ. 4 ნაღმი-სროლია მილით.

1911—1912 წწ. წყალქვეშათ განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს გერმანიაში. დაადგინეს 1917 წლისთვის, რაც გინდ მომხდარიყო, 72 წყალქვეშა აეგოთ, რომლებიც 54 მარდ იარაღში უნდა მჯდარიყო, დანარჩენი 18-კი რეზერვში მოექციათ.

1811—1912 საბიუჯეტო წელს მთავრობამ სათანადო სასლარი გამოითხოვა 34 წყალქვეშას ასაგებად. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ამდენი წყალქვეშას აგება ვაბედულ განზრახვად უნდა დარჩენილიყო. მართლაც, მხოლოდ 8 თუ 10 წყალქვეშა ააგეს დანიკავს. ასე რომ 1911—1912 წ. გასულს სულ 16 გემი მოეპოვებოდა გერმანიის. ახლად აგებული წყალქვეშანი წინანდლებზედ უფრო გაუმჯობესებულ არიან. თითოეული აღჭურვილია ცნობილი დიხელის „ოთხ-დროიანი“ მატორებით და საათში 13 კვანძამდე გადიან. თითოეული წყალქვეშა აღის 450—540 ტონამდე.

დანარჩენი 26 წყალქვეშის აგებას უნდა შესდგომოდენ 1912—1913 სამოქმედო წელს, ანუ უფრო 1912—1914 წწ. ესენი უფრო ძლიერებია, ვიდრე ყველა დანარჩენი. წყალ-ტევა თითოეულია 50 ტონის 550—650 ტონას. თითოს ოთხი ნაღმი—სროლია მილი აქვს და ამ მილების გვერდით კიდევ ან ერთი ანუ ორი 50 მილიმეტრიანი ზარბაზნები. სიგრძე ასეთ ზარბაზნს, თანხმად კრუსის საარტილერიო ნომინკალატურისა, აქვს 2 მეტრი.

მაგრამ ნაკვლად 26 წყალქვეშასი, მხოლოდ 10-ის აგება მოასწრეს, რომლებიც ზღვაში ჩაუშვეს 1912—1913 წელს. ზოგი მათგანი აღჭურვილია ეგრედ წოდებულ „შინავანი წვის“ მატორითა და ზოგიც უბრალო ორთქლის მანქანით. პირველი ტიპის მატორები ვაკეთებინეს შეიცარიაში ქალაქ ციურხის მახლობლად ვინტრეტურში. ათივე წყალქვეშა ააგეს სახელსონო „გერმანიაში“. ტონით ეს წყალქვეშანი აგებამტიბიან პირვანდლებს. თითოეულის წყალ-ტევა 900 ტონამდე აღის. სიჩქარეც მეტი აქვთ. საათში 17-18 კვანძს გადის წყლის ზედა ნაპირზე, ხოლო წყლის ქვეშა 12 კვანძსა.

მოქმედების ფარგლის მანიძლიანობა უმთავრესი და არსებითია წყალქვეშათათვის, თუ ესენი საიერიშო მოქმედებისთვის ზღვაში შორს გავლენ, ან თუ რამდენიმე დღით მაინც მტრის ნაპირების შეტერას განიზრახვენ. ამ სამოქმედო ფარგლის მანიძლიანობის მხრივ, მეორე ანაგებობის (1911—1912 წწ.) წყალქვეშანი მხოლოდ ათას საზღვაო მილის სიშორეს სწვდებიან, დაახლოებით 1800 ვერსს. ხოლო მეორე ანაგებობისა (1912

—1913 წწ.) ათას ექვსასიდან ათას რვაასი სახელად მიღებულ, ეს უკანასკნელი წყალქვეშანი აღქურვილი არიან მრავალი გაუმჯობესებული იარაღით. სადღეო პერისკოპის გარდა, აქვთ კიდევ საღამეო პერისკოპიც, აქვთ უმავთულო ტელეგრაფის აპარატი, გიროსკოპული კომპასი და დიდძალი შეკუმშული ჰაერი.

ზედმეტად ამათ აქვთ რამდენიმე ავტომატიური ნაღმი, რომელთა გასროლა მაშინაც კი შეუძლიან, როდესაც თვით ნაღი წყლის ქვეშაა მოქცეული. ამ გარემოებას უღირსი მნიშვნელობა აქვს მტრის ნაპირების შესაკრვლად.

სულ ომის დაწყების დროს გერმანიას ჰყავდა 26 წყალქვეშა. ომის გამოცხადების შემდეგ, ექვთ არაა, მეტის სიმძინთა და სიჭარბით შეუდგებოდნენ წყალქვეშათა ფლოტის გაძლიერებას, რადგან გერმანიას გადარწმუნებული ჰქონდა ფართოდ გამოყენების ბრძოლის დროს ეს ახალი იარაღი. წინაწარის 1911—1912 წ. წ. ოფიციალური ვარაუდით, 1914—1915 სამოქმედო წელს უნდა აეშენებინათ 12 ერთეული. მით უფრო უნდა ცდილობდნენ ამ 12 წყალქვეშას აგებას, რომ წინა წლების განმავლობაში ასაგებ წყალქვეშათა ნაგებობები რიცხვი სავსებით ერთობლივად ვერ დაუმზადებიათ. ამიტომ უნდა ვიგულისხმობთ, რომ არა პარტო დანაცხება და კილოში, არამედ მრავალ სხვა სახელისწილია გაჩაღდებოდა მხნე დღე და ღამის გამსწორებელი მუშაობა წყალქვეშათა ასაგებად. და რადგანაც სამოქმედო ფარგლის მეტ გაშლას აქვს უპირველესი მნიშვნელობა საიერიშო და საბლოკადო ოპერაციის დროს, ამიტომაც სწორედ ამ მხარეს მიაქცევდნენ უმთავრეს ყურადღებას. მართლაც ამ უკანასკნელ თვეების მოქმედებებში ნათლად ჩანს, რომ გერმანიის წყალქვეშათა სამოქმედო ასპარეზი დიდ მანძილზე გაიშალა. ბოსფორში გერმანიის წყალქვეშათა გამოჩენით მათი მოქმედების ფარგალი 3,500 საზღვაო მილიმდე გაიშალა. მაშინ როდესაც ინგლისი წყალქვეშა 3000 საზღვაო მილს ვერ გასცილებია და საფრანგეთისა 2,300-ს.

დღეს რომ დღეა გერმანიის სულ ცოტა 30 წყალქვეშა მანქანა ეყოლება, რომ ყველა ის გამოავალით რაც დალუპვია და დაპყრობა დიდძალი ომის გამოცხადებისა.

ს—ია.

რვენი სხოვრება

წერილი ჯავის ხეობიდან.

ჯავის ხეობის ხალხის დღევანდელი ცხოვრება მეტად სამწუხარო სანახაობს წარმოადგენს. ქართული ანდაზა, უბედურს ქვა აღმართში მოეწევა, სწორედ მათზე გამოპოვილი. ჩვენი საცხოვრებელი, მოგვსენებთ, მთა იყო. ამ მხრივ მაჩაბლიანთ მამული დიდ სამსახურს გვიწედა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მაჩაბლებმა, ივანემ და გოგიანმა, თავიანთ მამაპაპულ ანდრძის ულატეს და მთა უცხო ელემენტებს მიჰყიდეს, რუს მემამულეებს უიროვსა და ყარაბაგოვებს, ჩვენი ცხოვრებაც შეიცვალა და არა თუ შეიცვალა, მეტად გამწარდა. საღადა ძველებური ის მამა-შვილური განწყობილება, რაც ჩვენსა და მაჩაბლიანთ შუა იყო წინადა. დღეს ხსენებულმა მეტატონებმა სასტიკი მოურავები ჩაგვიყენეს სელნაკოვი და პავლოვსკი, რომელთაც ახალ-ახალი წესების შემოღებით დიდად შეავიწროეს ჩვენი მხარე. მოსელისთანვე მოურავებმა გავციხადეს: მიწა ჩვენი და თქვენ ჩვენი ყურბოკოილი ყმები უნდა იყვიოთ. დალოცვლილნი იყავით ოდნავაც არ შევიდნენ ხალხის მდგომარეობაში. ჩვენ მაჩაბლებს არ ვიცნობთ, არც ვგუსოს ვიციოდეთ, თქვენ მათთან რა დამოკიდებულებაში იყავით, ჩვენ ის წესი და რიგი შემოგვავსეს, როგორც რუსეთშიაო. და ამ ახალ წესებს რა არ ვაჩინათ არც ჩვენი სილატაკე, არც ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა.

მაგრამ აღმანი“ გაუძლებდა ახლად შემოღებულ წესებს, რომ ჩვენ მეტი უბედურება არ დაგვართმობდა. საქმე ის არის, რომ ხსენებული პირები ურცხვად დათარგმობდნენ და ყაჩაღურ ზომებსა ჰხმარობდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც სამხედრო მობილიზაცია მოახდინეს და ჩვენებური ოჯახობა უკაცოდ დარჩა, მოურავები გათამამდნენ, ტყეში აღარაყენეს უშეშებენ, უბრალო წყნლის მოჭრაზე უშობოდ აჯარიმებდნენ, ანდა ციხით ემუქრებდნენ. საძოვარზე ჩვენს საქონელს ამოუკვეთეს ფეხი, ერთი და მეორე. მათ გადაპლახეს თვით

ნამესტნიკისა და სენატის დადგენილებანიც კი, რომ ჯავის ხეობის მოსავლიდან მხოლოდ მეთათვი გვეძლია მეტატონეთათვის. რის მეთათვი, რა მეთათვი, ჩემს საკუთრებაზე მხოლოდ ჩვენი ვართ ბატონი და როგორც ვესურს, ისე მოვიქცევით. ამ შემოღობაზე, მაგალითად, ხალხს ოც და ხუთ ვერსის მანძილზე საღალოდ პურის ბუბები წამოაღებინეს. ოც და ხუთი ვერსი მთებში! ეს ხომ ბარის ასს ვერსის მანძილს უდრის! მაგრამ ეს ხომ არ იქმარეს: მოტანილი ძნა როცა ს. მსხლებში ჩამოიტანეს და ვეღარ უპატრონეს, ზამთარმა უსწრო, ძნა გაფუჭდა. მთ უცნაურად შარი მოსდევს. ჩვენს ხალხს, პური კი არა, ჩვენ ფული გვინდაო. მაგრამ სად მოვინახავთ ფულს? ჩვენ პურიც მეტად ძვირად გვიჯდება, ბარდინ ამოგვავსეს, აქაიკ ახივებზე თუ მოგვყავს მცირე, თორემ სხვაფერი ჩვენი ხალხი სიმძინითა და შვიდ კვირული ქვით იკვებება, ისიც სამის თვით. ხილულობა აქ არ იცის, ყურძენი ხომ ზოგს თვალთაც არ უნახავს. მაშ რას ავულებენ ჩვენს ხალხს, ეს დემრთმა უწყის. დაგვრჩა საქონელი, მაგრამ მემამულეთა მოურავნი საქონლის ყოლას გვისაზღვრავენ და საძოვარზე არ გამოგვავებინებენ, თუ განსაზღვრულ რიცხვს აღემატება.

უჭიროდ კიბიო, სწორედ ეს მოგვივიდა. მართალია, არც წინადა ვიყავით ბედნიერი. ბუნებამ მკაცრი და გაჭირვება დაგვიწერა შუბლზე, მაგრამ როდესაც აღმანიანთაგან უმადურება გვმის, ეს კი ყოველისთვის აღემატება. დღეს ჩვენი ქვეყანა უიროვის მოურავების სამეფოდ გარდაიქცა. თითი კოჩიაშვილის დაკეტული ოჯახში, მაგალითად, ამ ზამთარს კარები უშეშებურად, შიგ დაუპატრებელიც შეგრძანდნენ და მთელი წლის სარჩო ცხენებს შეაქაძეს. უბედურება კიდევ ის არის, რომ სამართალიც მათს მხარეზეა. როცა სჩივი, გვეუბნებიან: დიდი კაცებია და მათთან ბრძოლა რა ხელს მოგვცემთ. და ეს „დიდი კაცები“ მართლა ჩვენ პირუტყვებად და ველურებად გვევლიან და, მართლაც თავიანთ გელური ქვეყნით ჰგონიან, რომ ოსებში განათლება შეაქვთ!

ეპ, ეპ, ნეტავ თუ ბარი მინც შეისმენს ჩვენი მთის კვნესას!—
სიმართლის კალამი.

„აპაპის საღაო“

9 ივნისი „აკაის საღამოს“ შესწირა „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“. ეს ერთად ერთი საღამო იყო, როდესაც ყოველისფერი დაპირებისაგან შესრულებულ იქნა.

პირველ განყოფილებაში ბ. შ. ალექსი-მესხიშვილმა მკვირცხლად მოახაზა წარსული და აწმყო, აკაის მადლიან კალმით გაუშუქებული. სიტყვა შიში ბევრგან მკვეთრად და სკრიდა, თავშეუქცავლად ლალობდა, თამამად ჰლახავდა ჩვეულური სიტყვის შემზღვეველ ფარგლს და თავისთან ერთად გვატყუებდა ქართული ერის საიდულო ქვეყნის ზღვაში.

შემდეგ ორიგინალურად დასდგეს „ნათელას“ მეტყველი სურათი. ბ-ნი ნ. ერისთავი ამ დღეს თავის სამეფოში ჰგონობდა თავს და მისი დეკლამაცია როგორც ამ სცენის დროს, ისე მესამე განყოფილებაში მხურვალე ტაშს იწვევდა ჩვენს საზოგადოებაში. თვით სურათ-მაკ ფრიადი შთაბეჭდილება დასტოვა. ს. კაცსაძის ხორო საზოგადო ეფექტს ავირგვივებდა.

მეორე განყოფილება საკონცერტო იყო. ვნახეთ ა. ჭუმბურიძე, ახალგაზდა ტენორი. ხმა კიდევ დაუმუშავებელი აქვს. მაგრამ ეტყობა, რომ მუყაითი შრომით თვალსაჩინო სცენის ძალად დადგება იგი.

დანარჩენნი როგორც, მაგ. ი. ტომა-შევიჩი, ი. სარაჯიშვილი, ქ-ნი მ. კოლოტოვისა და ს. კაცსაძე ხოროთი ჩვეულური ნომრებს ასრულებდნენ, საზოგადოება იცნობს მათ. შთაბეჭდილება არც მეტი ყოფილა, არც ნაკლები, როგორც ეს გამოგვიტანია სხვა დროს სხვა და სხვა ადგილას.

საინტერესო იყო ორიგინალურად დადგმული ცხოველი სურათი „განთიადი“. ქ-ნი ე. ამირჯიხის ასული ლექსის მშენიერი დეკლამაციისთვის საზოგადოებამ უხვი ტაშით დააჯილდოვა.

განსაკუთრებით კარგი იყო აპოთეოზი, ნინო, ქეთევან და თამარი. სურათის მომზადებლობამ ერთიანად წააშალა ის

უსიამოვნო მდგომარეობა, რაც ხანგრძლივმა ანტრაქტებმა გამოიწვია დამსწერი საზოგადოებაში...
კ...
კ...

რვენი თეატრი

თუ ეკონომიურ ჩამორჩენას საველადო მოვლენად ვსთვლიდით, თავს იმითი მინც ვინუგვებდით, რომ აზიელთა შორის კულტურის საკითხში პირველობა ჩვენ გვეკუთვნის. დღეს სრულდება არ გვანტრატებს ამ პარადოქსის განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ კულტურულად წინ მივიდოდით, ჩვენს სულიერ გამაფაქიბებელ ერთერთ ხელსაწყო იარაღად თეატრი უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ჩვენი თეატრი, დღიდან დაარსებისა, ჩვენი ერის, აგრე ვთქვათ, თვითმასწავლებლად გამოვიდა. ჩვენი ხალხი გაეცნო როგორც ჩვენი ერის ყოფა ცხოვრებას, ისე უცხო ერთა ცხოვრების მრავალ სახეს. უბედურმა პარადოქსებმა, ცხოვრების ნაწევრება ცოცხლად წარმოდგენამ ქართველს იმდენად ესთეტური გემოვნება არა, რამდენადც დაკვირვებულის ალლო გაუღვიძა. ეს ალლო მკრულ მახვილად შეიჭრა მის ეროვნულ შემეცნებაში. ისტორიულმა პიესებმა მას გაუღვიძეს სამშობლოსადმი ჩაფერვლილი გრძობა. იგი მიხვდა, რომ პოლიტიკურ სიკვდილის შემდგომ მოიპო მისი სულიერი არსებობაც; დააკვირა თავის დამახინჯებულ შუბლზე, დააკვირა უნებურად თვის მომხმარებელ ფსიხიკს და დაკარგულზე ცხარე ცრემლი დააღვრივინა. და აი, ეს შეგნება სწორედ იმ შემეცნების სთფუქვლია, რაზეც შემდეგ პატრიოტულმა პიესებმა იწყეს აღმოცენება. დავით ერისთავის „სამშობლო“. აი ის პირველი ეროცხალო, რომელმაც ფსალმუნი უფალობა ამ მიმდინარეობას. ამის შემდეგ თქვენ ჰხედავთ ახალ-ახალ პიესების მთელ ციკლს, რომელნიც ახლად ნაფეთქ მიმდინარეობა დასტურსა სცემენ. „ბაგრატი მთიხე“. „ციხის საიდუმლო“, „და-მამა“, ხოლო ჩვენს უახლოეს წარსულში „ლეგან ბატონიშვილი“ და გვირგვინი ამ ციკლისა სუბათაშვილის სახელოვანი „დალატი“.

სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ხელოვნურად იყო დაწერილი თვითოველი მათგანი. ჩვენ მხოლოდ ფაქტობა გვაქვს საქმე, რომ ჩვენმა ხალხმა იწამა იგი, თვითოველ პიესის ნახვზე მხურვალე ცრემლებს ჰვრიდა და სცენის გმირებთან ერთად თითქოს სცოცხლობდა, თითქოს ჩაფერვლილ საფთავიდან მკედრეთით სდგებოდა და რანდთა სულბებთან ერთად მისი ნებისყოფა ძღვევის დროშას აფრიალებდა. სურვილი აღმადლებსია,—აი ის დღეობი, რომელიც ჩაბაღახ მოხილ სამშობლოს სახიერებამ წარმოიუქრა მას. ამას მხოწმობს არა მარტო ის რეცენზიები, რაც ამ ოცდაათ წლის განმავლობაში დაწერილა, არამედ თვითოველი წარმოდგენა, თვითოველი გულწრფელად დაღვრილი ცრემლი.

თქმა არ უნდა, მარტო ამ ერთს წერტილზე არ შეიყინებოდა ჩვენი თეატრი. საზოგადოება მიძიდებ, მაგრამ ესთეტურად მინც დღითი დღე იზრდებოდა, ფაქიზდებოდა. ნელ-ნელ უტელიტარისტული მიმართულება ესტეტურ განცდას უთმობს თავის ადგილს. ამაში ხელს უწყობდა, ერთ მხრით, როგორც კლასიკური, ისე უცხოელთა პიესების დგმა; ხოლო მეორე მხრით, ახლად გახსნილი სახაზინო თეატრი „ოპერა“ და შემდეგ „არტისტიულიც“. ჩვენშიაც იბადება სურვილი, რომ დაძლიეულ იქმნეს ძველი მიმართულება. ტრ. რამიშვილის „მეზობლები“—აი ნამსის უმთავრესი გატეხა და შემდეგ ორი დიდ ნოვატორ დრამატურგის მოვლენა, როგორც არის „მსხვერპლის“ ავტორი ბ-ნი ი. გედევანიშვილი და ნ. შიუკაშვილი. ჩვენი თეატრი ფრთასა ჰშლიდა. მსახიობთა კადრიც იზრდებოდა. საზოგადოების გემოვნებაც თითქმის იმ დონემდე მივიდა, რომ სცენას ალლო აულო, მას სათანადოდ უწევდა ანგარიშს. ჩვენ გვაქვს ჩვენი თეატრი. ახალ-ახალი დეკორაციების შექმნა, ახალ-ახალი მატურგ-მსახიობთა მოვლენა ნელ-ნელ, მაგრამ ბეჯითი წინსვლით გვითითებდა ერთგვარს ალორძინებაზე. მაგრამ... მოხდა უბედურობა: ჩვენ თეატრი დაგვეწვა. ვერ წელიწადიც არ გასულა და უკვე ვიგრძენით ამ დანაკლისის საშინელი სიმწვავე, ვიგრძენით თუნდა იმით, რომ ვხედავო სრულს დაქაქვას. მსახიობთა მობილიზაციის ნაცვლად, რომ თეატრის საქმე სრულ გვეყო და შეძლების დავარად უმადლეს სახით გავგეფურჩქნა, მოხდა დიფერენციაცია, ძალთა დაქაქვა, აქეთ-იქით გაფანტვა.

„სახ. სახლი“ ვერ სწევს დაკარგულ თეატრის მაგიერობას. საზოგადოებამ გულ აიკრუა მათ, აიკრუა არა იმიტომ, რომ ამას მდგომარეობა და ომის ცეცხლი უკარანახედეს, არამედ იმიტომ, რომ მათ განვითარებულ გემოვნების შესაფერი საზრდო ვეღარ მისთავაზა და ისევ „სახაზინოს“ და „არტისტიულს“ მიაშურა. ხოლო ვინც შერჩა ჩვენს თეატრს, მისი გემოვნება ისევ გავულგარების გზას დაადა. ეს უბრალო სიტყვები არ გვეგონოთ. თუ გსურთ დარწმუნდეთ, მიზრძანდით რომელიმე წარმოდგენაზე, მუშტრის თვალთ მსახიობიც გააზომეთ და დამსწერი საზოგადოებაც. მაშინ დიანახავთ, რომ იგინი ურთიერთის ეკვივალენტი გახდნენ. დამსწერი საზოგადოების მიერ უდრო-უდროო რეპლიკები, უდრო-უდროო სიცილი, წამოშტენა, ხოლო ფარდის შეხვედრისთანვე პირველი ტაში, რაც ყოველ შთაბეჭდილებას გიქარწყლებთ ხოლმე და ამავე დროს მსახიობთა მიერ ერთგვარი აფუნდრუკება, კარიკატურობა და არა თამაში—აი რა შეგძენდა ჩვენმა თეატრის დაკარგვამ. სცენის რუთინა, დახატებულ პიესების გამოჩახვა, ხოლო ახლების ისეთი აქრეგება, რომ არ იცით, რომელ ერის ცხოვრებასთან გაქვთ საქმე, მსახიობთა ნიქის ნელ-ნელა დახურვადება,—აი უდიდესი ძღვენი, რაც რომ მოგვერთა თეატრის დაღუპვის შემდეგ. ხშირად ცირკი და ბალანავა, ბალანავა და ცირკი, აი რას ვხედავთ ჩვენს სცენაზე, აი რითი ვგუსოს დავაკმაყოფილოთ ჩვენი ესტეტური გემოვნება! ყველა ამის შემდეგ მოდიოთ ასეთ ქართულ წარმოდგენებზე, მოდიოთ და ზურგს ნუ შეაქცევთ მას, ნუ მონახავთ სხვა ადგილს, სადაც შეგძენდათ თქვენი გრძობანი დაკმაყოფილოთ! წაივია ქველმოქმედების ხანა, რომ მხოლოდ ამ მიზნით შესთავაზოთ მსახიობთ გროში! არც მოწყალება და არც საჩუქარი, არამედ ურთიერთდამი ცივი ანგარიში,—აი რას ითხოვს თანამედროვე საზოგადოება. ამიტომ თუ გსურს თეატრმა თვისი მნიშვნელობა არ დაკარგოს, თუ გსურს ჩვენი საზოგადოება სულ არ ჩამოშორდეს მას და თუნდ უტილიტარისტულ თეატრისისთ სცენა კვლავ ეროვნულ ტრიბუნად დაგვრჩეს, მაშინ შეუვლდეთ დაკარგულის აღდგენას, კვლავ აღუდგინოთ ჩვენი თეატრი, თორემ როცა დრო გავა, იმდენად დაკარგავთ სასცენო ძალეს, იმდენად გადაავარებთ ისედაც გადავარებულს ჩვენს საზოგადოებას, რომლის გამოფხიზლებას ჩვენი სცენა ასე რიგად უწყობდა ხელსა.

დ. კ—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანადრო. შანშიაშვილი

გაყიდა:	7 თობათვეს
ტყემალი	2 მ.
ალუბალი	3 მ.
ატამი	4 მ.
თხილი	3 მ.
ხენდრო	10 მ.
8 თობათვეს	
ალუბალი	3 მ.
ტყემალი	1 მ. 60 კ.
თხილი	3 მ.
ატამი	4 მ.

მ ქ ს ი ლ ე თ ა მ კ ხ ა ნ ა გ ა ბ ა

„მ ა რ თ ლ ი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მილაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი აშხანაგობის წვერებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ნონ ყოველნაირი ხილი იაფად.

თავისი გრეფელნი

ამ. გეგელოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავეტრო სახლ. „ლ. შაილდოვის-შვითი“, სამოწველოებიდან ახალი ქვირთის ხილოვლა, მცირე მარლიანი, შავი „შეშონი“ ხილოვლა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის შუთხი, თართი, ფარვა და ლეკვაკვას აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

გერმანიის
კარგული
მკურნალობა
სახლი

ქართულ გიმნაზიის პირდაპირ
პირობის გასაგებად შეიძლება მოლაპარაკება: მიხაილოვის პროსპ., 97, ბინა 25
დილის 8—10 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. 3—1

კახეთის რუინის გმრს მიმოსვლა

(დრო აღვილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლ-ლაშიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთლ-კახეთ.	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	21 „ 15 „ „
საგარეჯოდან	11 „ 58 „ „
ბაღდაურიდან	12 „ 56 „ „
მელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „ „
კარდენახიდან	4 „ 12 „ „
წიორის-წყალზე	4 „ 44 „ „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვაჩანახიდან	4 „ 33 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

თბილისიდან გადის:

წიორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაანიდან	11 „ 39 „ „
ბაღდაურიდან	12 „ 59 „ დ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან	3 „ 55 „ „
ნავთლ-კახეთ.	4 „ 58 „ „
ნავთლ-ლაშიერ-კავ.	5 „ 13 „ „
თბილისში	5 „ 28 „ „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვაჩანახიდან	9 „ 25 „ „
გურჯაანში	10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რუინის გმრს მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში გადის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან.	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუთუხეში

ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა.

ახალი აფთიაქი

პროპიოზორის ახვლედიანისა, 25—1